სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/12

ქ. თბილისი 11 თებერვალი 2022 წ.

საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებული სახით
დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის 2022 წლის 26 იანვრის საბჭოს სხდომის №12 ოქმის და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 11 თებერვლის №01-05-02/05 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:
   1.1. ბაკალავრიატის ქართულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა“;
   1.2. ბაკალავრიატის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა“;
   1.3. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა“;
   1.4. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა“.
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს 2022-2023 სასწავლო წლიდან.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**